



International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 5, Issue 2

Journal homepage: <http://journal.ciu.edu.ge/>

DOI: <https://doi.org/10.55367/ZCQS3588>



The role of international and national prosecutors in the implementation of ICC decisions

Lia Nakhutsrishvili ^{a1}

^a PhD student, Caucasus International University,
Lecturer, Georgian Technical University

ARTICLE INFO

Keywords:

International
Criminal Court
Prosecutor's
office
Impartiality
Independence

ABSTRACT

The selection of a Prosecutor for the International Criminal Court (ICC) is an important process that directly impacts the legitimacy, effectiveness, and impartiality of the court. The article discusses the procedure for appointing a Prosecutor established by the Rome Statute, analyzes the legal framework, practical implementation, and political dynamics that shape the process. The issue of selecting prosecutors is examined both at the International Criminal Court and at the state level, analyzing and comparing similarities and differences.

The institutional challenges arising from political interest and the perceived politicization of the selection process, which threaten public trust in the International Criminal Court, are examined. The role of the Prosecutor's Office in the process of enforcing the court's judgments is discussed. The prosecutor's offices of various states are reviewed, which helps us draw parallels with the Prosecutor's Office of the International Criminal Court and eliminate its challenges. The article explores the normative challenges that arise from political interference and a lack of stakeholder engagement.

The study used the comparative legal research method, which helped us to study and compare the prosecutor's offices of different states and the ICC prosecutor's office. The dialectical research method was also used, which helped us to study state and legal systems and phenomena, to divide complex phenomena into separate elements, and to study their interrelationships. It is also necessary to mention the logical research method in jurisprudence, since states, their legal systems, and legal phenomena are studied using logic. The functional research method helped us to study the various functions of legal institutions and social phenomena, and how they interact with each other.

In conclusion, it can be said that the effective implementation of ICC decisions requires active and coordinated engagement between international and national prosecutors. Overcoming the existing problems requires strengthening the mechanisms of interaction between the Prosecutor of the International Criminal Court and national prosecutors.

¹ Corresponding author.

E-mail addresses: nakhutsrishvili.l@gtu.ge (L.Nakhutsrishvili).

developing normative instruments for the implementation of decisions, as well as ensuring political support for international criminal justice at the state level. The success of implementation depends to some extent on political will, the level of legal culture, and institutional independence.

საერთაშორისო და ეროვნული პროკურატურის როლი ICC-ის გადაწყვეტილებების აღსრულებაში

ლია ნახუცრიშვილი ^{a2}

^a დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მოწვეული ლექტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სტატიის შესახებ	აბსტრაქტი
<i>საკვანძო სიტყვები:</i> საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო პროკურატურა მიუკერძოებლობა დამოუკიდებლობა	საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს (ICC) პროკურორის შერჩევა მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს სასამართლოს ლეგიტიმურობაზე, ეფექტურობასა და მიუკერძოებლობაზე. სტატიაში განხილულია რომის სტატუტით დადგენილ პროკურორის დანიშვნის პროცედურა, გაანალიზებულია სამართლებრივი ჩარჩო, პრაქტიკული განხორციელება და პოლიტიკური დინამიკა, რომელიც აყალიბებს პროცესს. გამოკვლეულია პროკურორთა არჩევის საკითხი, როგორც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოში, ასევე სახელმწიფოთა დონეზე, გაანალიზებული და შედარებულია მსგავსებები, განსხვავებები. შესწავლილია ინსტიტუციური გამოწვევები, რომლებიც გამომდინარეობს პოლიტიკური ინტერესიდან განპირობებულია შერჩევის პროცესის აღქმული პოლიტიზაციით, რაც საფრთხეს უქმნის საზოგადოების ნდობას საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიმართ. საუბარია პროკურატურის როლზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულების პროცესში. მიმოხილულია სხვადასხვა სახელმწიფოს პროკურატურა, რაც გვეხმარება საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურატურასთან პარალელების გავლენასა და მისი გამოწვევების აღმოფხვრაში. სტატიაში გამოკვლეულია ნორმატიული გამოწვევები, რომლებიც წარმოიშობა პოლიტიკური ჩარევით და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ნაკლებობით. კვლევის მიზანია პროკურატურის სტრუქტურის, ფუნქციების, უფლებამოსილებების, ოპერატიული გამოწვევების კრიტიკულად შესწავლა და შედარება, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. კვლევაში გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, რაც დაგვეხმარა სხვადასხვა სახელმწიფოს პროკურატურისა და ICC-ის პროკურატურის გამოკვლევისა და შედარებაში. ასევე გამოყენებულია

² ავტორი კორესპონდენტი.
ელექტრონული ფოსტა: nakhutsrishvili.l@gtu.ge (ლ.ნახუცრიშვილი).

დიალექტიკური კვლევის მეთოდი, რაც დაგვეხმარა სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ სისტემებისა და მოვლენების შესწავლაში, რთული მოვლენების ცალკეულ ელემენტებად დაყოფასა და მათი ურთიერთკავშირის შესწავლაში. აქვე აუცილებელია ვახსენოთ ლოგიკური კვლევის მეთოდი იურისპრუდენციაში, რადგან სახელმწიფოები, მათი სამართლებრივი სისტემები და სამართლებრივი ფენომენები შესწავლილია ლოგიკის გამოყენებით. ფუნქციური კვლევის მეთოდი კი დაგვეხმარა შეგვესწავლა სამართლებრივი ინსტიტუტებისა და სოციალური ფენომენების სხვადასხვა ფუნქციები, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ისინი ერთმანეთთან.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ICC გადაწყვეტილებების ეფექტური განხორციელება მოითხოვს საერთაშორისო და ეროვნულ პროკურორებს შორის აქტიურ და კოორდინირებულ ჩართულობას. არსებული პრობლემების დაძლევა მოითხოვს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორსა და ეროვნულ პროკურორებს შორის ურთიერთქმედების მექანიზმების გაძლიერებას, გადაწყვეტილებების აღსრულების ნორმატიული ინსტრუმენტების შემუშავებას, ასევე სახელმწიფო დონეზე საერთაშორისო სისხლის სამართლის პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფას. აღსრულების წარმატება გარკვეულწილად დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზე, სამართლებრივი კულტურის დონეზე და ინსტიტუციურ დამოუკიდებლობაზე.

1. შესავალი

თემის აქტუალობა: კვლევის აქტუალობას განაპირობებს ის, რომ არსებობს ICC გადაწყვეტილებების ეფექტური აღსრულების პრობლემა. ქართულ ლიტერატურაში საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურატურის როლი აღსრულების პროცესში თითქმის არ არის შესწავლილი. ამასთანავე პროკურორების როლის შესწავლა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს აღსრულების მექანიზმში საშუალებას იძლევა ინსტიტუციური ურთიერთქმედებების სიღრმისეული ანალიზისა და საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირების.

კვლევის მიზანია: საერთაშორისო და ეროვნული პროკურორების სამართლებრივი სტატუსისა და ფუნქციური პასუხისმგებლობების ანალიზი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების კონტექსტში. პროკურატურის დისკრეციის, ინსტიტუციური მანდატების, პოლიტიკური შეზღუდვებისა

და სამართლებრივი ჩარჩოების შესწავლით, კვლევის მიზანია შეაფასოს, თუ რა როლი აქვთ პროკურორებს საერთაშორისო სისხლის სამართლის პრაქტიკულ რეალიზაციაში. გარდა ამისა, კვლევის მიზანს წარმოადგენს სტრუქტურული და პროცედურული ხარვეზების გამოვლენა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორის ოფისსა (OTP) და ეროვნული პროკურატურის ორგანოებს შორის ურთიერთქმედებაში.

2002 წელს დაარსების დღიდან, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო (ICC) გლობალური ძალისხმევის ცენტრალურ ინსტიტუტად იქცა, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო საზოგადოებისთვის ისეთი დანაშაულების დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელსაც ეროვნული სასამართლოები ვერ განიხილავენ. სასამართლოს ორგანოებს შორის, OTP-ს განსაკუთრებით გავლენიანი პოზიცია უჭირავს. წინასწარი გამოძიებების, გამოძიებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ჩატარების პასუხისმგებლობა მინიჭებული აქვს პროკურორს რომელიც მისი ლეგიტიმურობის, მიუკერძოებლობისა და ეფექტურობის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორიც არის. საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი დევნის სიმძიმისა და პოლიტიკური მგრძნობელობის გათვალისწინებით, პროკურორის შერჩევა გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ პროცედურული ფორმალობა - ეს არის გადაწყვეტილება, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოს ინსტიტუციურ მიმართულებას და გლობალურ სანდოობას.

პროკურორის დანიშვნის პროცესი ფორმალურად რეგულირდება რომის სტატუტის 42(4) მუხლით, (Schabas, 2010), რომელიც მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეას (ASP) ანდობს პროკურორის აბსოლუტური უმრავლესობით არჩევას. თუმცა, ფორმალური პროცედურების არსებობის მიუხედავად - მათ შორის შერჩევის კომიტეტების შექმნის, ვაკანსიების შესახებ განცხადებების გამოქვეყნებისა და კანდიდატების შემოწმების ჩათვლით - პროცესი ხშირად ხასიათდება პოლიტიკური დაპირისპირებით. ეს დინამიკა მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის აპარატის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობის ღირებულებებს, რომელთა დაცვასაც რომის სტატუტი ცდილობს.

აუცილებელია შევხვით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის შერჩევასთან დაკავშირებულ პროცედურებს, პოლიტიკას და პრობლემებს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს განხორციელებულმა რეფორმებმა შემოიღო უფრო მეტი პროცედურული გარანტია, ფუნდამენტური საკითხები კვლავ გადაუჭრელი რჩება - განსაკუთრებით პოლიტიკური მოსაზრებების მუდმივი გავლენა და კანდიდატების შეფასების თანმიმდევრული, გამჭვირვალე კრიტერიუმების არარსებობა.

ICC-ის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულება მოიცავს საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი აქტორების მრავალშრიან სისტემას, რომელთა შორის გადაწყვეტ როლს ასრულებენ პროკურორები - როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ დონეზე. რომის სტატუტით დადგენილი ჩარჩოების ფარგლებში, სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება პირდაპირ არ ხორციელდება თავად ICC-ის მიერ, არამედ დამოკიდებულია სახელმწიფოთა თანამშრომლობაზე. უფრო კონკრეტულად კი, ეროვნული პროკურატურის ინსტიტუტების ჩართულობაზე. ეს ორმაგი დამოკიდებულება წარმოშობს რთულ სამართლებრივ, ინსტიტუციურ და პოლიტიკურ გამოწვევებს, რომლებიც გავლენას ახდენს საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ეფექტურობაზე.

2. კვლევის მეთოდოლოგია

საკვლევი მასალის მეთოდოლოგია დაფუძნებულია შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდზე, სადაც დეტალურად არის შესწავლილი სხვადასხვა სახელმწიფოს პროკურატურის ინსტიტუტი და შედარებულია იგი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურატურის აპარატთან. ამასთანავე კვლევისას გამოყენებულია ლოგიკური კვლევის მეთოდი რომლის საშუალებითაც შეგვიძლია ლოგიკურად გავაანალიზოთ სამართლებრივი სისტემები და სამართლებრივი ფენომენები, რაშიც დაგვხმარება დედუქცია და ინდუქცია. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორის ინსტიტუტის შესწავლისას დიალექტიკური მეთოდის გამოყენება საშუალებას იძლევა უფრო ღრმად გავიგოთ მისი სამართლებრივი ბუნება, ფუნქციები და ევოლუცია საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების

წინააღმდეგობრივი ტენდენციების კონტექსტში. აღნიშნული მეთოდი დაგეხმარა სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი სისტემების, რთული მოვლენების ცალკეულ ელემენტებად დაყოფასა და მათი ურთიერთკავშირის შესწავლაში. რაც შეეხება ფუნქციურ კვლევის მეთოდს, იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორის ინსტიტუტის ანალიზში, რადგან საშუალებას იძლევა, ყურადღება გავამახვილოთ არა მხოლოდ ფორმალურ-სამართლებრივ ასპექტებზე, არამედ ამ ორგანოს პრაქტიკულ დანიშნულებაზე, მიზნებსა და ეფექტურობაზე საერთაშორისო სისხლის სამართლის სისტემაში. ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია იმის იდენტიფიცირება, თუ როგორ ასრულებს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორი თავის ძირითად ამოცანებს - სისხლის სამართლის საქმეების აღძვრასა და წარმოებას, დაპატიმრებების ინიცირებას, ეროვნულ ხელისუფლებასთან ურთიერთქმედებას - პოლიტიკური და ინსტიტუციური ფრაგმენტაციის კონტექსტში. ფუნქციური მიდგომა საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ პროკურორის ფაქტობრივი საქმიანობის შესაბამისობა მის წინაშე დასახულ მიზნებთან, ასევე გამოვავლინოთ ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ან აფერხებენ მისი მანდატის ეფექტურ განხორციელებას სხვადასხვა სამართლებრივ და გეოპოლიტიკურ კონტექსტში.

3. შედეგების განხილვა

კვლევის შედეგად დგინდება, რომ მიუხედავად გადაწყვეტილებების აღსრულების პირდაპირი უფლებამოსილების არარსებობისა, პროკურორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათი აღსრულების უზრუნველყოფაში პროკურატურის დისკრეციის აქტების მეშვეობით, მაგალითად, როგორიცაა დაპატიმრების ორდერების შუამდგომლობების შეტანა, სახელმწიფოებისთვის გადაცემისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადება, სააგენტოთაშორისი თანამშრომლობის ინიცირება და არათანამშრომლობით სახელმწიფოებთან კავშირის დამყარების მცდელობა. შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურატურა მოქმედებს, როგორც დამაკავშირებელი რგოლი სასამართლოს ფუნქციასა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკურ და სამართლებრივ რეალობას შორის. ხოლო ეროვნული პროკურორები

მოქმედებენ პოლიტიკურად დამოკიდებულ გარემოში. დამოუკიდებელი სასამართლო სისტემისა და ძლიერი პროკურატურის მქონე ქვეყნებში, საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებები უფრო ეფექტურად აღსრულდება. შედეგები აჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია არსებობდეს მჭიდრო კავშირი ICC-ის პროკურატურასა და სხვადასხვა სახელმწიფოს პროკურატურას შორის.

ICC-ის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელება არ არის მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილების ან რომის სტატუტით გათვალისწინებული სახელმწიფოების ფორმალური სამართლებრივი ვალდებულებების ფუნქცია, არამედ კრიტიკულად არის დამოკიდებული საერთაშორისო და ეროვნულ პროკურატურულ აქტორებს შორის დინამიურ ურთიერთქმედებაზე.

ჰიპოთეზის ფარგლებში უნდა ვივარაუდოთ, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისის (OTP) პროაქტიული ჩართულობის სტრატეგია, რაც შეიძლება მოიცავდეს დიპლომატიურ ზეწოლას, ტექნიკურ მხარდაჭერას და ადგილობრივ ინსტიტუტებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარებას. სადაც ეროვნული პროკურორები მოქმედებენ აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევისგან ავტონომიურად, ფლობენ საკმარის სამართლებრივ, ინსტიტუციურ ინფრასტრუქტურას და ნორმატიულად შეესაბამებიან საერთაშორისო სისხლის სამართლის სტანდარტებს. ასეთ შემთხვევაში ICC-ის გადაწყვეტილებების შესრულების ალბათობა მნიშვნელოვნად მაღალია. ამრიგად, ICC-ის გადაწყვეტილებების ეფექტური აღსრულება რთული, მრავალდონიანი პროცესია, რომელშიც საერთაშორისო და ადგილობრივ პროკურატურას შორის ურთიერთქმედება გადამწყვეტ როლს ასრულებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანია შეიქმნას დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ზედამხედველობის ორგანო, რომელიც შედგენილი იქნება ნეიტრალური მხარეებისგან, რაც ხელს შეუწყობს პროკურორის და სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, ამაღლებს სასამართლოს რეპუტაციას. ამასთანავე მნიშვნელოვანია სტრუქტურის დაფინანსება ხდებოდეს დამოუკიდებელი წყაროებიდან. მნიშვნელოვანია

პროკურატურის დაკომპლექტება მოხდეს არა წევრი სახელმწიფოებისგან, არამედ დამოუკიდებელი კომისიის მიერ, რომელიც იქნება პოლიტიკურად ნეიტრალური.

4. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ისტორიული მიმოხილვა

OTP წარმოიშვა, როგორც ICC-ის ფუნდამენტური საყრდენი, რომელიც გათვალისწინებულია რომის სტატუტში, სასამართლოს დამფუძნებელ ხელშეკრულებაში. სადაც ჩამოყალიბებული იყო პრინციპი, რომ საერთაშორისო დანაშაულებებზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ ინდივიდებს და არა მხოლოდ სახელმწიფოებს. მისი შექმნა უკავშირდება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს.

ICC-ის პროკურატურა შეიქმნა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წიაღში, რომის სტატუტის მიხედვით, რომელიც მიღებულ იქნა 1998 წლის 17 ივლისს და ძალაში შევიდა 2002 წლის 1 ივლისს. OTP-მ თავისი საქმიანობა დაიწყო 2003 წლის 1 ივლისს, რომის სტატუტის ძალაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ, ICC-ის, როგორც მუდმივი საერთაშორისო სასამართლო ინსტიტუტის დაარსების შემდეგ.

OTP შეიქმნა, როგორც ICC-ის ერთ-ერთი ძირითადი ორგანო, პრეზიდენტთან, პალატებთან და რეესტრთან ერთად. რომის სტატუტის მიხედვით, (Ambos, 2022) ICC-ის პროკურორს ირჩევს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა (ASP), რომელიც შედგება იმ ქვეყნებისგან, რომლებმაც მოახდინეს რომის სტატუტის რატიფიცირება. OTP-ს დღემდე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთაშორისო სისხლის სასამართლოს სტრუქტურაში, რადგან იგი გადამწყვეტ როლს ასრულებს საერთაშორისო დანაშაულებებზე პასუხისმგებლობის დაკისრებისას. დროთა განმავლობაში, მისი ფარგლები გაფართოვდა, გააქტიურდა, რის შედეგადაც აქტიურად მიმდინარეობს გამოძიება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა, ავღანეთი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა და სხვა (Schabas A William, 2016). OTP-ის საქმიანობა ასევე მოიცავს მსხვერპლთან ურთიერთობას დაზარალებულების საქმეში ჩართულობას, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, რაც მოითხოვს დიდ შრომასა და ენერგიას. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურატურა იყო და

დღემდე რჩება უნივერსალური მისწრაფებების გზაჯვარედინზე, თუმცა მის წინაშე არაერთი დაბრკოლებაა.

პროკურატურის ფუნქციის გარდა, OTP ასევე უფრო მეტად ჩაერთო კონფლიქტის ზონებში მტკიცებულებების შეგროვებისა და შენახვის უზრუნველყოფაში, განსაკუთრებით სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადამიანის უფლებათა ჯგუფებთან პარტნიორობით.

4.1. დროებითი ტრიბუნალების წარმატებლობები

მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი იუგოსლავიის (ICTY) და რუანდას (ICTR) სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალებმა გამოავლინეს საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი დევნის პოტენციალი, თავდაპირველად ის ყველა სახელმწიფოსთვის არ იყო ხელმისაწვდომი, რადგან მართლმსაჯულება წარმოადგენს საკმაოდ ძვირ სიაშვინებას, რომელიც დროში საკმაოდ იწელება. მუდმივი სასამართლო განიხილებოდა, როგორც უფრო ეფექტური გადაწყვეტა, გლობალური დაუსჯელობის აღმოსაფხვრელად.

გლობალური მართლმსაჯულების ინსტიტუტის არარსებობა

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ნიურნბერგმა და ტოკიოს ტრიბუნალებმა დაადგინეს საერთაშორისო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის პრეცედენტი, მაგრამ არ არსებობდა მუდმივი ინსტიტუტი, რომელიც მომავალში დაადგენდა და აღკვეთდა ასეთ სისასტიკეს, განახორციელებდა საერთაშორისო სისხლის სამართლებრივ დევნას. სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოების მიერ მუდმივი სასამართლოს არსებობის აუცილებლობაზე მსჯელობა გააქტიურდა 1990-იან წლებში.

გენოციდები და საერთაშორისო დანაშაულები 1990-იან წლებში

რუანდის გენოციდი (1994), კონფლიქტები ბალკანეთში და მასობრივი სისასტიკეები მსოფლიოს სხვა ნაწილებში, (Barnett, 2003) ხაზს უსვამდა შიდა სამართლებრივი სისტემების

შეზღუდვებს და გაეროს უუნარობას განეხორციელებინა სამართლიანობა თანმიმდევრულად.

4.2. რომის სტატუტის მოლაპარაკებები (1995–1998)

სახელმწიფოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და იურიდიულ ექსპერტებს შორის მოლაპარაკებები დასრულდა რომის სტატუტის მიღებით, რომელიც ითვალისწინებდა დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობას საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში, ხოლო მოგვიანებით გაჩნდა პროკურატურის შექმნის აუცილებლობა, რომელიც მოიპოვებდა მტკიცებულებებს, გამოიძიებდა დანაშაულს და მოამზადებდა სასამართლოში წარსადგენად.

როგორც აღვნიშნეთ, OTP პალატასთან და რეესტრთან ერთად არის ტრიბუნალის სამი ორგანოდან ერთ-ერთი. მას ევალება გამოიძიოს და დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ადამიანის ძირითადი უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ყველაზე მძიმე დარღვევაზე, რაც მოხდა ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და იუგოსლავიის ძალადობრივი დაშლის დროს 1990-იან წლებში (Kaye, 2011).

OTP-ს ხელმძღვანელობს პროკურორი, რომელსაც ნიშნავს უშიშროების საბჭო, ოთხი წლის ვადით და პროკურორის მოადგილე, რომელსაც ნიშნავს გაეროს გენერალური მდივანი. პროკურორი დამოუკიდებელია და არ იღებს მითითებებს გარე უწყებებისგან, როგორცაა რომელიმე სახელმწიფოს მთავრობა, საერთაშორისო ორგანიზაცია, ტრიბუნალი.

პროკურორის ამოცანა ორმხრივია, გამოიძიოს დანაშაულები და წარადგინოს საქმე სასამართლოში. წლების განმავლობაში, OTP-ის მუშაობის აქცენტი გამოიძიებიდან დევნაზე გადავიდა და ორი განყოფილება ახლა ფუნქციონირებს ერთობლივად, როგორც ერთი გამოძიების, ხოლო მეორე - პროკურატურის განყოფილება.

პროკურორისა და მისი უშუალო თანამშრომლების გარდა, პროკურატურა ორგანიზებულია სამ ძირითად განყოფილებად: (Schabas W. A., Structure and Administration of the Court, 2022)

-საგამოძიებო განყოფილება - პასუხისმგებელია, სხვა ამოცანებს შორის, გამოძიების ჩატარებაზე, გამოძიებამდე, მის დროს შეგროვებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების გაანალიზებაზე, გამოძიების გეგმების განსაზღვრაზე, საგამოძიებო მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე, რეესტრის მსხვერპლთა და მოწმეთა თანამშრომლობაზე (VWU) (Ondřej Svaček, 2025).

-პროკურატურის სამმართველო - მონაწილეობს საგამოძიებო სტრატეგიის განსაზღვრაში და აწვდის იურიდიულ რჩევებს გამოძიების დროს წარმოშობილ საკითხებზე, ამზადებს სასამართლო სტრატეგიებს და აწარმოებს საქმეებს სასამართლოში.

კომპლემენტარობისა და თანამშრომლობის სამმართველო (JCCD) - აქვს მთელი რიგი ფუნქციები, რომელთაგან ორი უკავშირდება რომის სტატუტის მახასიათებლებს: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ფართო ტერიტორიული იურისდიქცია და მისი დამატებითი როლი ეროვნულ სამართალწარმოებასთან. JCCD ცენტრალურ როლს თამაშობს მიმართვებისა და კომუნიკაციების ანალიზში, რაც ასახავს სასამართლოს ფართო იურისდიქციის რეალობას. (Justice, 2023).

გარდა ამისა, პროკურატურას შეუძლია დაიწყოს გამოძიება *proprio motu*, ან საკუთარი ინიციატივით, წინასწარი დაკავების პალატის მოსამართლეების ნებართვით (David, 2008). საქმის შესწავლის შემდეგ პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას, წარმოდგენილი მტკიცებულებები არის თუ არა გამოძიების დაწყების საფუძველი; იკვლევს ტარდებოდა თუ არა სასამართლო პროცესები ეროვნულ დონეზე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ და შემდგომ პროცესთან დაკავშირებით აცნობებს ტრიბუნალის მონაწილე სახელმწიფოებს, ჩაატარებს თუ არა გამოძიებას. პროკურორს და პროკურორის მოადგილეს ირჩევს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა, რომელიც წარმოადგენს ICC-ის ყველა მონაწილე სახელმწიფოს, ხოლო გაეროს უშიშროების საბჭო და ცალკეული სახელმწიფო პარტიები შეიძლება მანიპულირებენ თავიანთი რეფერალური უფლებამოსილებით შიდა პოლიტიკური დღის წესრიგის მისაღწევად (Morton, 2014)

სამწუხარო რეალობაა, რომ არ არსებობს აშკარა პრინციპები ან წესები, რომლებიც შეიძლება შემუშავდეს ამ დისკრეციის ფარგლების შესამცირებლად. როგორც ასეთი, საერთაშორისო სასამართლოების წარმატება ან წარუმატებლობა ამჟამად არსებითად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენებენ პროკურორები თავიანთ დისკრეციულ უფლებამოსილებას. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მიზანშეწონილია საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მომხრეების, დარგის სპეციალისტების მიერ განხილულ იქნეს და გადაიხედოს მისაღებია თუ არა პროკურატურის ფართო დისკრეციის არსებული სისტემა – განსაკუთრებით ICC-სთვის. როდესაც რომში ICC-ის წესდება შეიქმნა, როგორც ჩანს, ნაკლებად განიხილებოდა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო პროკურორის შერჩევის პროცესი. პროკურატურის დისკრეციის გამოყენება შედარებით მარტივი იქნებოდა, თუ იარსებებდა ზოგადი შეთანხმება საერთაშორისო სისხლის სამართლის მიზნებთან და მათ შორის შესაბამის პრიორიტეტებთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ასეთი კონსენსუსი დღემდე არ არსებობს. ეროვნულ სისტემებში მთავარი მიზანია ყველა დანაშაულის აღკვეთა, რაც ჩვეულებრივ ხორციელდება შემაკავებელი ზომების მიღებით და/ან პასუხისმგებლობის დაყენებით. ხშირად, კანონმდებლობაში პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება არ არის ხოლმე დეტალურად განმარტებული, რაც გარკვეულწილად ფართო საზოგადოებაში აჩენს კითხვის ნიშნებს. მაგალითად, ზოგიერთ სისტემაში, პროკურორებმა შეიძლება დაუშვან, რომ ბრალდებულმა კონკრეტულ შემთხვევაში, აღიაროს დანაშაული და წარადგინოს მტკიცებულებები მეორე დამნაშავის წინააღმდეგ ეფექტურობის გაზრდის მიზნით, რის შემდეგაც გამოძიებაში დახმარებისთვის პირველ პირს პასუხისმგებლობა შეუმსუბუქდება. თუმცა, საერთაშორისო სისხლის სამართლის კუთხით, სიტუაცია სრულიად განსხვავებულია. საერთაშორისო სასამართლოებს, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ იმ მძიმე დანაშაულებზე, რომელიც რომის სტატუტით არის გათვალისწინებული (Göran Sluiter, Håkan Friman, Suzannah Linton, Sergey Vasiliev, and Salvatore Zappalà, 2013).

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ჩამოყალიბების შემდეგ წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს შორის არაერთხელ ყოფილა მსჯელობა სასამართლოსა და

პროკურატურის ინსტიტუტის მნიშვნელობაზე. მაშინ, როდესაც პროკურატურა ყალიბდებოდა სხდომის წევრები მიიჩნევდნენ, რომ აუცილებელი იყო ეს ორგანო ყოფილიყო სასამართლოსგან დამოუკიდებელი, რათა ხელი შეეწყო სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის. ბელგიელმა კომიტეტის წევრმა წამოაყენა წინადადება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა მტკიცებულებათა წინასწარი გამოკვლევა ჩატარებულიყო თავად სასამართლოს პალატის მიერ, მაგრამ სასამართლოს პალატის წევრებს არ მიეღოთ მონაწილეობა. მოსაზრებას მხარი დაუჭირა კომიტეტის უმრავლესობამ და ის პრინციპში 11 ხმით ერთის წინააღმდეგ გავიდა, ხოლო 3-მა თავი შეიკავა. ცვლილების მოწინააღმდეგე წევრმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ჟენევის წესდების პროექტში გათვალისწინებული ვალდებულების სრულყოფილად განხილვა სასურველია, რადგან იგი გამოყოფდა ვალდებულებას.

საუბარი იყო იმაზე, წარმოადგენდა თუ არა ბრალდებულის უფლებას მტკიცებულებების წარმოდგენა სასამართლოში, რაც მიიჩნიეს რომ აუცილებელიც კი იყო სამართლიანი სასამართლოს წარმართვისთვის. კომიტეტის სხვა წევრები კი მიიჩნევდნენ, რომ პროცედურები საერთო სამართლის ქვეყნებში უნდა ჩატარებულიყო ნაფიცი მსაჯულებისა და მაგისტრების წინაშე, სადაც ბრალდებულს არ ჰქონდა უფლება მტკიცებულებების წარდგენისა. წევრები შიშობდნენ, რომ გამოძიების პროცესში მტკიცებულებების წარდგენის უფლების მინიჭება ბრალდებულისთვის ნიშნავდა, რომ პროცესი ისეთივე იქნებოდა, როგორც ჩვეულებრივი, ეროვნული სასამართლო პროცესი. გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენელმა შესთავაზა კომპრომისული გადაწყვეტა, რომლის მიხედვითაც ბრალდებულს უნდა მინიჭებოდა უფლება წარმდგარიყო სასამართლო პალატის წინაშე სიტყვით, მაგრამ არ ექნებოდა მტკიცებულებების წარდგენის უფლება. ეს გადაწყვეტილება მიიღეს 7 ხმით 4 წინააღმდეგ, 4-მა თავი შეიკავა.

რაც შეეხება პალატის უფლებამოსილებებს, იყო გარკვეული უთანხმოება იმის თაობაზე, ექნებოდა თუ არა სასამართლოს წმინდად პასიური როლი, განეხილა მომჩივნის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. ერთი მოსაზრებით, მომჩივანს უნდა მოეთხოვა, რომ გამოკვლეულიყო მისი საქმე და არ უნდა დალოდებოდა დამდგენი პალატის

შუამდგომლობით საქმის გამოძიებას. თუმცა, სხვა წევრებმა მიიჩნიეს, რომ სასურველია, პალატას ჰქონოდა ისეთივე უფლებამოსილება, როგორც *juge d'instruction* სამართლის კონტინენტურ სისტემებში (Pérez-León-Acevedo, 2019). აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 8 ხმით ხოლო ერთის წინააღმდეგ, ხოლო 6-მა თავი შეიკავა. კომიტეტმა მიიღო წინადადება, რომელიც პალატას უფლებას აძლევდა უზრუნველყო ბრალდებულის სამართლიანი სასამართლო პროცესი, შემდგომი გამოძიების ან კონკრეტული საკითხების გამოძიების უფლება.

კომიტეტის ზოგიერთი წევრი თვლიდა, რომ ჟენევის ტექსტში გათვალისწინებული პროკურატურის არჩევის სისტემა ზედმეტად შრომატევადი იყო. პროკურორის შერჩევის გამარტივების მიზნით, ბელგიელმა წევრმა კომიტეტს შესთავაზა, რომ იგი დანიშნულიყო მომჩივანი სახელმწიფოდან ან სახელმწიფოებიდან. ბელგია მიიჩნევდა, რომ ეს იყო შერჩევის უმარტივესი და პრაქტიკული მეთოდი. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამას რაიმე სერიოზული სირთულე არ შეუქმნია. ვინაიდან სასამართლოს წინაშე სამართალწარმოება სახელმწიფოების მიერ იყო აღძრული, ბუნებრივი იყო მათთვისაც მიეცათ პროკურორის დანიშვნის უფლება. დანიშვნის ეს მეთოდი უზრუნველყოფდა სასამართლოს წინაშე მომჩივანთა ხელთ არსებული ინფორმაციისა და მათი შეხედულების წარდგენას (Bassiouni Cerif. M., 1987).

სხვა წევრებს სჯეროდათ, რომ შესაძლებელი იქნებოდა პროკურატურის არჩევის ნაკლებად შრომატევადი მეთოდის დადგენა მომჩივანებისთვის მისი დანიშვნის უფლებამოსილების მიცემის გარეშე. მათ მიიჩნიეს, რომ არასასურველი იყო დანიშვნის ასეთი მეთოდი, რადგან პროკურორი უნდა იყოს მიუკერძოებელი თანამდებობის პირი. სხვა თვალსაზრისი იყო ის, რომ პროკურორი არ უნდა აირჩეს თითოეულ საქმეზე, არამედ უნდა იყოს სასამართლოს მუდმივი თანამდებობის პირი (Megumi, 2022). ნებისმიერი სირთულე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მუდმივ პროკურორთან დაკავშირებით, შესაძლებელი იქნებოდა გადაჭრილიყო აცილების პროცედურებით, როგორც მოსამართლეებისთვისაა დადგენილი მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით.

ბელგიის შესწორება, რომელიც ითვალისწინებს, რომ მომჩივნის ან მომჩივანების მიერ დანიშნული იურისტ-კონსულტანტი უნდა ასრულებდეს პროკურატურის ფუნქციებს, მიღებულ იქნა 6 ხმით 5-ის წინააღმდეგ, 3-მა თავი შეიკავა (Bassiouni Cerif. M., 1987).

OTP-ში დასაქმებულია 80-ზე მეტი სხვადასხვა ეროვნების დაახლოებით 380 პერსონალი, მათ შორის იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები, გამომძიებლები და ანალიტიკოსები, ფსიქო-სოციალური ექსპერტები, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების გამოცდილების მქონე პირები, საჯარო ინფორმაციის, კომუნიკაციის სპეციალისტები და სხვა (Christian M.De Vos, 2020).

რომის სტატუტის მე-13 მუხლის თანახმად, არსებობს სასამართლოს იურისდიქციის განხორციელების სამი გზა. სამივე შემთხვევაში პროკურორმა უნდა განახორციელოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი შეფასება, სანამ გადაწყვეტს მიიღოს თუ არა საქმე წარმოებაში:

1. რომის სტატუტის ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მიმართოს პროკურორს გამოძიების ჩატარების თხოვნით. სამართლებრივი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში პროკურატურა გამოძიებას დაიწყებს.

მონაწილე სახელმწიფოს მიერ მიმართვა განხორციელდა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის, უგანდას, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის, პალესტინის, ვენესუელასა და უკრაინის სიტუაციებში;

2. გაეროს უშიშროების საბჭომ (UNSC) შეიძლება მიმართოს პროკურორს, რომელიც დაიწყებს გამოძიებას, თუ კანონიერი კრიტერიუმები დაკმაყოფილდება.

გაეროს უშიშროების საბჭომ მიმართა დარფურის (სუდანი) და ლიბიის შემთხვევაში.

3. პროკურორმა შესაძლოა საკუთარი ინიციატივით დაიწყოს გამოძიება. თუ იგი მიიღებს გადაწყვეტილებას საქმის წარმოების გაგრძელების შესახებ, მან უნდა მოითხოვოს კანონიერი ავტორიზაცია მოსამართლეებისგან.

პროკურორის ინიციატივით საქმის დაწყების მაგალითი გვექონდა კენიასთან, კოტ - დ'ივუართან, ავღანეთთან, ბანგლადეშთან/მიანმარსა და ფილიპინებთან მიმართებაში.

სახელმწიფოს, რომელიც არ არის სტატუტის წევრი, გააჩნია განაჩენის აღსრულების უფლება *ad hoc* საფუძველზე, რომის სტატუტის მე-12(3) მუხლის შესაბამისად დეკლარაციის წარდგენით.

მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჯერ კიდევ ნიურნბერგის პროცესის დროს ჩამოყალიბდა მიდგომა, რომ იმუნიტეტი არ მოქმედებს მასზე, ვინც საერთაშორისო სისხლის სამართლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა. ასე რომ *jus cognes* წიაღში აღმოცენებული ეს პრინციპი დგას საერთაშორისო მშვიდობის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის სამსახურში (უგრეხელიძე, 2018). შესაბამისად პროკურატურას უფლება აქვს დაიწყოს საქმისწარმოება და საერთოდ არ გაითვალისწინოს რა სტატუსით სარგებლობს ესა თუ ის პირი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. სწორედ ეს გახლავთ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს ერთ-ერთი დადებითი მხარე.

5. პროკურორის არჩევის წესი ICC-ისა და სხვა ქვეყნებში

დებულების თანახმად, პროკურატურა დამოუკიდებლად მოქმედებს, როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ცალკეული ორგანო. მთავარი პროკურორის პასუხისმგებლობაა დაიწყოს სისხლის სამართალწარმოება რომის სტატუტით გათვალისწინებული მოვალეობებისა და უფლებამოსილების შესაბამისად.

პროკურორის შერჩევა კრიტიკული პროცესია სამართლებრივი სისტემის მთლიანობის, დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. პროკურორები გადამწყვეტ როლს ასრულებენ კანონის უზენაესობის დაცვაში, დანაშაულის გამოძიებასა და დევნაში, სამართლიანობის აღსრულების უზრუნველსაყოფად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო დაარსდა რომის სტატუტით 1998 წელს (Rome Statute of the International Criminal Court, 1998) და ევალება პირების დევნა უმძიმესი საერთაშორისო დანაშაულებისთვის, როგორიც არის გენოციდი, ომის და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებები. ICC-ის

პროკურორის არჩევის პროცესი განსაზღვრულია რომის სტატუტით და მოიცავს მრავალ ნაბიჯს, რათა უზრუნველყოს სწორი არჩევანის გაკეთება, რომელიც დაფუძნებული იქნება მთლიანობასა და დამოუკიდებლობაზე.

ICC-ის პროკურორს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება დაიწყოს გამოძიება, წაუყენოს პირს ბრალდება, უზრუნველყოს განაჩენის აღსრულება დანაშაულებზე, რომლებიც გავლენას ახდენს მსოფლიოზე, საერთაშორისო საზოგადოებაზე.

რომის სტატუტის 42-ე მუხლის თანახმად, მთავარი პროკურორის არჩევა ხდება ფარული კენჭისყრით მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით. პროკურორის მოადგილეები იმავე წესით აირჩევიან პროკურორის მიერ წარდგენილი კანდიდატის სიიდან. პროკურორი პროკურორის მოადგილის თითოეულ თანამდებობაზე სამ კანდიდატს წარადგენს. თუ მათი არჩევისას უფრო მოკლე ვადა არ არის გადაწყვეტილი, პროკურორი და პროკურორის მოადგილეები ფუნქციონირებენ ცხრა წლის ვადით და არ ექვემდებარებიან ხელახლა არჩევას.

ICC-ში პროკურორის დანიშვნა მრავალსაფეხურიანი პროცესია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა საერთაშორისო აქტორებს. პროცესი შექმნილია გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობისა და მაღალკვალიფიციური კანდიდატის შერჩევის უზრუნველსაყოფად.

პროკურორის თანამდებობის კანდიდატებს წარადგენენ რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოები. მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეას (ASP), ICC-ის მმართველ ორგანოს, შეუძლია მოითხოვოს კანდიდატურები, როგორც წესი, ფორმალური პროცედურის მეშვეობით, რომელიც მოიცავს საჯარო განცხადებებს და კანდიდატურების წარდგენას (Mudukuti, 2021). პროცესს ახორციელებს შერჩევის კომიტეტი, რომელიც ჩამოყალიბებულია ASP-ში და შედგება მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენლებისგან. კომიტეტი განიხილავს კანდიდატების კვალიფიკაციასა და შესაბამისობას კრიტერიუმების საფუძველზე, როგორიცაა კეთილსინდისიერება და საერთაშორისო სისხლის სამართლის საქმეების განხილვის გამოცდილება. მას შემდეგ რაც კომიტეტი შეამოწმებს კანდიდატებს, ის წარუდგენს ნომინანტთა სიას. საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება მონაწილე

სახელმწიფოთა ასამბლეის ფარული კენჭისყრით. პროკურორი ირჩევა ASP-ის წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. დანიშვნის შემდეგ პროკურორი სისტემას ემსახურება ცხრა წლის ვადით, რომელიც არ განახლებად. ეს ხელს უწყობს პროკურორის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, რადგან ვადა ფიქსირებულია და არ ექვემდებარება ხელახლა არჩევას ან განახლებას, რაც ამცირებს პოტენციურ პოლიტიკურ გავლენას.

პროცესი იწყება ICC მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის წარდგენით, რომელიც შედგება რომის სტატუტის ხელშემკვრელი მხარეებისგან. მონაწილე სახელმწიფოები სთავაზობენ კანდიდატებს პროკურორის თანამდებობაზე. (Schabas W. A., Structure and Administration of the Court, 2020)

იურისტთა, მრჩეველთა კომიტეტი ეხმარება სასამართლოს პროკურორის შერჩევის პროცესში. კომიტეტი აფასებს ნომინანტთა კვალიფიკაციასა და გამოცდილებას. შერჩეულ კანდიდატთა მოკლე სიას წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეს.

საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის ხმების ორი მესამედის უმრავლესობით და არა რომელიმე ეროვნული ან ორგანიზაციული ორგანოს მიერ. პროკურორის უფლებამოსილების ვადა ცხრა წელია და პროკურორს ხელახალი არჩევის უფლება არ აქვს.

კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაღალი მორალური ღირებულებები, იურიდიული კვალიფიკაცია და მძიმე დანაშაულის დევნის ან გამოძიების გამოცდილება. რომის სტატუტი ხაზს უსვამს პროკურორის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას და ადგენს, რომ არც ერთი პირი არ უნდა შეირჩეს პოლიტიკური ან სხვა არასამართლებრივი მოსაზრებებიდან გამომდინარე.

ყოველ ცხრა წელიწადში ერთხელ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში ირჩევენ ახალ პროკურორს (Mudukuti, The procedure for appointing the International Criminal Court prosecutor: High moral character and the need for comprehensive vetting, 2021). შერჩევა არის მრავალმხრივი საერთაშორისო პროცესი, რომელიც მოიცავს მონაწილე სახელმწიფოების ფართო კონსენსუსს და არა ერთი სახელმწიფოს ან ორგანიზაციის

ცალმხრივ გადაწყვეტილებას. შერჩევის კრიტერიუმები უპირატესობას ანიჭებს პროფესიულ კვალიფიკაციას და პიროვნულ მთლიანობას, თუმცა მიუხედავად კარგად ჩამოყალიბებული და გაწერილი ნორმებისა, ზოგჯერ ყურადღება ექცევა პოლიტიკურ კუთვნილებას ან ეროვნულ ინტერესებს. პროკურორის დამოუკიდებლობა დაცულია იმ მოთხოვნით, რომ პროკურორი არ უნდა დაექვემდებაროს მითითებებს, ჩარევას რომელიმე სახელმწიფოს ან სუბიექტისგან.

რაც შეეხება ეროვნულ პროკურატურებს, აქ პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნის წესი განსხვავდება ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, მაგალითისთვის განვიხილოთ რამდენიმე სახელმწიფო:

5.1. შერთებული შტატები

პროკურორები შერთებულ შტატებში გადამწყვეტ როლს ასრულებენ სისხლის სამართლის სისტემაში, მათ აქვთ მნიშვნელოვანი ძალაუფლება ბრალდებების, საპროცესო შეთანხმებებისა და საქმეების პრიორიტეტიზაციის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად. შერთებულ შტატებში, გენერალური პროკურორის (უმაღლესი რანგის ფედერალური პროკურორის) არჩევის პროცესი საკმაოდ განსხვავდება ICC სისტემისგან, რაც ასახავს აშშ-ს იურიდიული ინსტიტუტების უფრო პოლიტიკურ ხასიათს. გენერალურ პროკურორს, რომელიც ზედამხედველობს ფედერალურ დევნას, ნიშნავს პრეზიდენტი და ამტკიცებს სენატი. ეს პროცესი საკმაოდ პოლიტიკურია, რადგან პრეზიდენტის კანდიდატი ხშირად ასახავს ხელისუფლებაში მყოფი ადმინისტრაციის პოლიტიკურ პრიორიტეტებს.

განასხვავებენ ფედერალურ, სახელმწიფო და ადგილობრივი პროკურატურებს: საოლქო პროკურატურა (DA's) მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: თავდასხმები, მკვლელობები, ძარცვა და ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვა. როდესაც პოლიცია თავდასხმაში ან ძარცვაში ეჭვმიტანილს აკავებს, ისინი დაუყოვნებლივ დაუკავშირდებიან DA-ს ოფისს, რათა წარადგინონ ბრალდებები და მიიღონ ზომები სასამართლოში პირველად გამოცხადებისთვის.

გენერალური პროკურატურის განყოფილებას მთლიანი პროკურორის სხვა განყოფილებებზე მეტი უფლებამოსილება აქვს, რადგან მას აქვს შესაძლებლობა დევნა განახორციელოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევაზე. თუმცა, გენერალური პროკურატურის (AG) დეპარტამენტი ჩვეულებრივ არ აწარმოებს დევნას ადგილობრივი პოლიციის ყოველდღიურ საკითხებზე. (Levenson, 1999) შეერთებული შტატების პროკურატურა და „მთავარი სასამართლო“ შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტი (DOJ) პასუხისმგებელია ფედერალური დანაშაულების დევნაზე და ამუშავებს როგორც თეთრი საყელოს, ისე ძალადობრივი დანაშაულის საქმეებს. ზოგიერთი დანაშაული ცალსახად ფედერალურია, ამ შემთხვევაში მხოლოდ ფედერალურ მთავრობას შეუძლია მათი დევნა, მაგალითად, როგორიცაა ფედერალური საშემოსავლო გადასახადებისგან თავის არიდება და გაყალბება. სხვა დანაშაულებრივი ქმედება არღვევს როგორც ფედერალურ, ისე შტატის კანონებს და თეორიულად მაინც შეიძლება განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა ფედერალური, სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

იმისათვის, რომ შემდგომ გაგვიმარტივდეს პარალელის გავლება საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურატურასთან აუცილებელია მიმოვიხილოთ შერჩევის პროცედურა, რომელიც შემდეგნაირია: შეერთებული შტატების პრეზიდენტი გენერალური პროკურორის კანდიდატურას წარადგენს. შემდეგ კანდიდატურა უნდა დაამტკიცოს სენატმა ხმათა უმრავლესობით. გენერალური პროკურორი პრეზიდენტის დაქვემდებარებაშია და შეუძლია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან. ამერიკაში გენერალური პროკურორი არის პოლიტიკური თანამდებობა და შერჩევაზე დიდ გავლენას ახდენს აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკური პრიორიტეტები. ეს პროცესი ეწინააღმდეგება ICC-ის აპოლიტიკურ შერჩევის პროცესს. გენერალური პროკურორი ანგარიშვალდებულია პრეზიდენტისა და სენატის წინაშე, რაც იწვევს შეშფოთებას პროკურატურის დისკრეციაში პოლიტიკური ჩარევის შესახებ (Hessick, 2023).

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა ერთი ქეისი - 2020 წლის 2 სექტემბერს შეერთებული შტატების მთავრობამ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის პერიოდში სანქციები დაუწესა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორს, ფატუ ბენსუდას და პროკურატურის სხვა მაღალჩინოსანს, ფაკისო მოჩოჩოკოს. სანქციები უკავშირდებოდა ICC-ის გამოძიებას სავარაუდო ომის და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შესახებ, მათ შორის აშშ-ს ქმედებებს ავღანეთში. სანქციები დაგმეს მთავრობებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ადამიანის უფლებათა ჯგუფებმა. კრიტიკოსებმა ეს ნაბიჯი განიხილეს, როგორც თავდასხმა საერთაშორისო მართლმსაჯულებასა და კანონის უზენაესობაზე. გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა გამოხატა შეშფოთება სანქციების გამო და ხაზი გაუსვა საერთაშორისო დანაშაულებებზე პასუხისმგებლობის მნიშვნელობას. 2021 წლის აპრილში ბაიდენის ადმინისტრაციამ გააუქმა ფატუ ბენსუდას და ფაკისო მოჩოჩოკოს წინააღმდეგ პრეზიდენტ ტრამპის მიერ გამოცემული სანქციები და მოკავშირეებთან ურთიერთობის აღდგენის აუცილებლობის მოტივით, კიდევ ერთხელ დაადასტურა შეერთებული შტატების ერთგულება საერთაშორისო სამართლიანობისადმი (Human Rights Watch, 2020).

5.2. გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებულ სამეფოში გენერალური პროკურორი არის მთავრობის მთავარი იურიდიული მრჩეველი და შერჩევის პროცესი გარკვეულწილად ჰგავს აშშ-ს, მაგრამ აქ პროკურორის შერჩევისას ძირითად როლს პრემიერ-მინისტრი თამაშობს, თუმცა მთავარ პროკურორს საბოლოოდ ამტკიცებს მეფე/დედოფალი. გენერალური პროკურორი ჩვეულებრივ არის კაბინეტის წევრი, რაც ნიშნავს, რომ ის პოლიტიკურ ფიგურადაც კი შეიძლება მოვიაზროთ, მას მჭიდრო ურთიერთობა აქვთ მმართველ ხელისუფლებასთან. DPP-ს ნიშნავს გენერალური პროკურორი, როგორც ეს გათვალისწინებულია 1985 წლის დანაშაულთა დევნის შესახებ კანონის მე-2 (1) პუნქტში. (Prosecution of Offences Act, 1985) დანიშნულ პირს უნდა ჰქონდეს ათწლიანი ზოგადი კვალიფიკაცია 1990 წლის სასამართლოებისა და იურიდიული მომსახურების შესახებ კანონის 71-ე მუხლის მნიშვნელობით, რაც მიუთითებს მნიშვნელოვან იურიდიულ გამოცდილებაზე.

გენერალურ პროკურორს აქვს უმნიშვნელოვანესი როლი, რადგან მან უნდა დააბალანსოს ხელისუფლებისა და საზოგადოების ინტერესები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კითხვები მათი მიუკერძოებლობის შესახებ გახმაურებულ საქმეებში.

5.3. საფრანგეთი

საფრანგეთში საჯარო პროკურორები (*magistrats du parquet*) ინიშნებიან სტრუქტურირებული პროცესით, რომელშიც ჩართულია როგორც აღმასრულებელი ხელისუფლება, ასევე სასამართლოს უმაღლესი საბჭო (*Conseil Supérieur de la Magistrature, CSM*). ამ პროცესის ძირითადი ასპექტები ასახულია საფრანგეთის კონსტიტუციაში და შესაბამის სამართლებრივ ჩარჩოებში.

იუსტიციის მინისტრი (*Garde des Sceaux*) სთავაზობს კანდიდატებს პროკურატურის თანამდებობებზე წარსადგენ პირს. წარდგენა ხდება CSM-თან კონსულტაციის შემდეგ, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს და მოსაზრებებს კანდიდატის კვალიფიციურობის შესახებ. (Dechepy-Tellier, 2024)

პროკურორების დანიშვნა ხდება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ, ოღონდ სასამართლოს უმაღლესი საბჭოს მონაწილეობით, რომელიც დამოუკიდებელი ორგანოა. თუმცა, აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენა პრაქტიკაში მაინც შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი. საფრანგეთში, რესპუბლიკის პროკურორის (გენერალური პროკურორის) არჩევაზე ასევე დიდ გავლენას ახდენს აღმასრულებელი ხელისუფლება.

საფრანგეთის პრეზიდენტი, იუსტიციის მინისტრთან კონსულტაციის შემდეგ, ნიშნავს პროკურორებს როგორც პროკურატურაში, ასევე ცალკეული სასამართლოების დონეზე. იუსტიციის მინისტრს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს დანიშვნის პროცესზე, რაც ასახავს უფლებამოსილების ცენტრალიზაციას საფრანგეთის სამართლებრივ სისტემაში. ცენტრალიზებული სისტემა აჩენს კითხვებს პროკურორების პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საფრთხის ქვეშ დგება მთავრობის ინტერესები (Jacqueline Hodgson, Laurene Soubise, 2016). კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ პროკურორების იერარქიული დაქვემდებარება იუსტიციის

სამინისტროსადმი არღვევს მათ დამოუკიდებლობას, განსაკუთრებით პოლიტიკურად მგრძნობიარე საქმეებში. საფრანგეთი საერთაშორისო უწყებების, მათ შორის ევროკომისიის, დაკვირვების წინაშე აღმოჩნდა იმის გამო, რომ არ უზრუნველყოფდა პროკურორების ისეთივე დამოუკიდებლობას, როგორც მოსამართლეებს ჰქონდათ.

5.4. გერმანია

გერმანია იყენებს უფრო პროფესიონალიზებულ მიდგომას პროკურორების არჩევისას, რაც მიზნად ისახავს სასამართლო დამოუკიდებლობის დაბალანსებას პოლიტიკურ ზედამხედველობასთან. პროკურორებს ირჩევს იუსტიციის ფედერალური სამინისტრო ან იუსტიციის სამინისტროები ცალკეულ გერმანიის შტატებში, მაგრამ მათ, პირველ რიგში, ირჩევენ მათი პროფესიული კვალიფიკაციისა და იურიდიული გამოცდილების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ პროცესი მოიცავს გარკვეულ პოლიტიკურ ზედამხედველობას, გერმანელ პროკურორებს აქვთ კარგი რეპუტაცია და მაღალი საზოგადოებრივი ნდობა (Riedel, 2020).

პროკურორების დანიშვნას ახორციელებს სახელმწიფო მეთაური ან ფედერალური მთავრობა, იურისდიქციის მიხედვით. შერჩევა, როგორც წესი, ეფუძნება პროფესიულ გამოცდილებას, მაგრამ მაინც შეიძლება ექვემდებარებოდეს პოლიტიკურ მოსაზრებებს. ფედერალური გენერალური პროკურორი (Generalbundesanwalt) და ფედერალური პროკურორები ინიშნებიან ერთობლივი პროცესით: ამ თანამდებობებზე კანდიდატებს იუსტიციის ფედერალური მინისტრი სთავაზობს; ბუნდესრატი (ფედერალური საბჭო) უნდა დაეთანხმოს შემოთავაზებულ დანიშვნებს; დამტკიცების შემდეგ, ფედერალური პრეზიდენტი ოფიციალურად ნიშნავს კანდიდატებს.

აღსანიშნავია, რომ ფედერალური გენერალური პროკურორი ფლობს პოლიტიკური მოხელის სტატუსს, რაც იმას ნიშნავს, რომ იუსტიციის ფედერალურმა მინისტრმა შეიძლება ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან, კონკრეტული დასაბუთების გარეშეც კი.

გერმანელი პროკურორები შეირჩევიან მათი კვალიფიკაციისა და იურიდიული გამოცდილების საფუძველზე და არა პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით, რაც აძლიერებს მათ დამოუკიდებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ პროცესი გარკვეულწილად დეცენტრალიზებულია, პოლიტიკური მოსაზრებები მაინც თამაშობს როლს, განსაკუთრებით ფედერალურ დონეზე. რაც საკმაოდ საინტერესოა, განსაკუთრებით ისეთი კანონმდებელი სახელმწიფოსთვის როგორც გერმანიაა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გერმანიის 16 ფედერალური შტატიდან თითოეულს აქვს საკუთარი პროკურატურა. პროკურორები დამოუკიდებელი სასამართლო ოფიცრები არიან, რომლებსაც ევალებათ კანონის დაცვა და სამართლიანობის უზრუნველყოფა. ისინი მოქმედებენ როგორც „კანონის მცველი“ (Hüter des Gesetzes) სისხლის სამართლის პროცესში. პროკურორები შეზღუდულნი არიან კანონიერების პრინციპით (Legalitätsprinzip), რომელიც მათ ავალდებულებს, დაიწყონ გამოძიება, როდესაც არსებობს სისხლის სამართლის დანაშაულის საკმარისი მტკიცებულება. ეს უზრუნველყოფს კანონის სამართლიანობასა და ერთგვაროვან გამოყენებას.

5.5. საქართველო

საქართველოს პროკურატურის სტრუქტურა, ორგანიზაცია და ფუნქციები, დაკონკრეტდა 1997 წ. 21 ნოემბრის ორგანული კანონით „პროკურატურის შესახებ“ და აისახა 1999 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (მამნიაშვილი, 2024). საქართველოში გენერალურ პროკურორის არჩევის პროცესში აქტიურად მონაწილეობს საპროკურორო საბჭო და პარლამენტი. გენერალური პროკურორის არჩევის წესი და კვალიფიკაცია დეტალურად არის გაწერილი კანონმდებლობაში, აუცილებელია მას ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება, იყოს საქართველოს მოქალაქე, უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმეებზე მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 5 წელი ან იურისტად მუშაობის არანაკლებ 10 წელი (საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ, 2018). გენერალური პროკურორი თანამდებობაზე აირჩევა 6 წლის ვადით. ვადის გასვლის ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში საპროკურორო საბჭო იწყებს ერთთვიან კონსულტაციებს აკადემიურ წრეებთან, დარგის სპეციალისტებთან. გენერალური

პროკურორის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს დაინტერესებულ წარმომადგენლებს, აკადემიურ წრეებს, სამართლის დარგის სპეციალისტებს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს - რის შემდეგაც საპროკურორო საბჭო ირჩევს არანაკლებ სამ კანდიდატს. კანდიდატებს საბჭოს სხდომაზე ეყრებათ კენჭი (კენჭისყრა ფარულია) და არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს, მაგრამ არანაკლებ საპროკურორო საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედისა. საბჭო უკვე შერჩეულ კანდიდატს გარკვეული დასაბუთებით წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, რომელიც სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს გენერალურ პროკურორს.

ყოველივე გვაჩვენებს, რომ გენერალური პროკურორის არჩევის პროცედურა ნაკლებად პოლიტიზირებულია სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით და არც თუ ისე მარტივია მისი თანამდებობიდან გათავისუფლება, რაც გარკვეულწილად გარანტიაც კი არის მისი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხარისხის.

ნებისმიერ სახელმწიფოში პროკურატურა უნდა იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანო, რაც ხელს შეუწყობს სამართლიანი მართლმსაჯულების იდეის აღსრულებას. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი პროკურორები კი, რა თქმა უნდა, იმოქმედებენ არა პირადი ინტერესით, არამედ სამართლებრივი პრინციპებით, რაც, უფრო ფართოდ რომ შევხედოთ, ხელს შეუწყობს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს უფრო ეფექტურ ფუნქციონირებას და მის წიაღში არსებული პროკურატურის ეფექტურ მუშაობას. ნებისმიერ სახელმწიფოს უნდა ესმოდეს რაოდენ მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი პროკურატურა, რადგან აღნიშნული სტრუქტურის დამოუკიდებლობა პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოსადმი საზოგადოების ნდობასთან.

6. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორის ინსტიტუტის შედარებითი ანალიზი

ერთ-ერთი ყველაზე ნათელი განსხვავება ICC-ის პროცედურასა და ეროვნულ სისტემებს შორის არის მკაფიოდ გამოკვეთილი პოლიტიკური გავლენის ხარისხი. ICC-ის

პროკურორების შერჩევის პროცესი შექმნილია იმისთვის, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს პოლიტიკური ჩარევა მონაწილე სახელმწიფოებს შორის ფართო კონსენსუსის უზრუნველყოფის, ღირსების და კეთილსინდისიერების ხაზგასმით. ამის საპირისპიროდ, ბევრ ეროვნულ სისტემას (როგორიცაა აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი) აქვს პოლიტიკურად განპირობებული პროცესები, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება მთავარ როლს ასრულებს პროკურორების არჩევაში. ამან შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების უნდობლობა პროკურატურის მიმართ, რადგან საკმაოდ მაღალია რისკი, მთავარი პროკურორის მიერ კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებისას, ადგილი ჰქონდეს პოლიტიკურ ჩარევას.

ეროვნული სისტემები განსხვავდება იმ ხარისხით, თუ რამდენად ახდენს გავლენას აღმასრულებელი ხელისუფლება პროკურორების შერჩევაზე. აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს აქვთ პროცესები, რომლებიც მოიცავს არსებით აღმასრულებელ ზედამხედველობას, ხოლო გერმანია, საქართველო და ICC პრიორიტეტულად მიიჩნევენ პროკურორის კვალიფიკაციის და გამოცდილების გათვალისწინებას. ICC გამოირჩევა იმით, რომ აქვს სრულიად საერთაშორისო შერჩევის პროცესი დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის მონაწილეობით, რაც უზრუნველყოფს პროკურორის დამოუკიდებლობას რომელიმე სახელმწიფოს კონტროლისგან (Skubic, 2011).

მიუხედავად იმისა, რომ ICC-ის პროკურორი ანგარიშვალდებულია მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის წინაშე, ეროვნული პროკურორები ხშირად პასუხობენ პირდაპირ სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურს (მაგ. აშშ-ს პრეზიდენტს, გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრს), რამაც შეიძლება დაძაბულობა შექმნას მათ მოვალეობებს შორის.

ICC-ის პროკურორის დანიშვნის მეთოდს აქვს რამდენიმე ძირითადი დადებითი ასპექტი:

- **დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა:**

საარჩევნო პროცესი, რომელშიც ჩართულია მრავალი სახელმწიფო პარტია და შესარჩევი კომიტეტი, მინიმუმამდე ამცირებს არასათანადო პოლიტიკური გავლენის რისკს. მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის ხმების ორი მესამედის მოთხოვნით, პროცესი უზრუნველყოფს

არჩეულ კანდიდატს ჰქონდეს ფართო საერთაშორისო მხარდაჭერა. ვადა ხელს უწყობს პროკურორის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას მათი მოქმედების პერიოდში.

- **გამჭვირვალობა:**

წარდგენისა და შერჩევის პროცესი ზოგიერთ ეროვნულ სისტემასთან შედარებით ღიაა. საჯარო პროცედურის ჩართვა, მათ შორის ქვეყნებისთვის კანდიდატების წარდგენის შესაძლებლობის ჩათვლით, გამჭვირვალობის განცდას უწყობს ხელს.

ის ფაქტი, რომ საარჩევნო პროცესი საჯაროა, ნიშნავს, რომ პროკურორის შერჩევა ექვემდებარება საერთაშორისო შემოწმებას, რაც ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობას და არჩეული კანდიდატისადმი საერთაშორისო ნდობის გამოცხადებას.

- **ექსპერტიზა და საერთაშორისო წარმომადგენლობა:**

პროცესი უზრუნველყოფს, რომ კანდიდატებს ჰქონდეთ დიდი გამოცდილება საერთაშორისო სამართალში, ადამიანის უფლებებსა და საერთაშორისო დანაშაულთა დევნაში. ისეთი პროკურორის შერჩევით, რომელსაც აქვს დიდი გამოცდილება საერთაშორისო სამართალში, ICC აძლიერებს მის უნარს განახორციელოს რთული საქმეები და წარმოადგინოს გლობალური საზოგადოების ინტერესი საზარელი დანაშაულის ჩამდენი პირების პასუხისმგებლობის დაკისრებაში.

ის ფაქტი, რომ არჩევნებს ატარებს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა, რომელშიც შედიან წარმომადგენლები მთელი მსოფლიოდან, უზრუნველყოფს, რომ პროცესი წარმოადგენს წევრ სახელმწიფოებში არსებული სამართლებრივი ტრადიციებისა და პერსპექტივების მრავალფეროვნებას (Klamberg, 2016).

- **ლეგიტიმურობა:**

ის ფაქტი, რომ პროკურორს ნიშნავს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონიდან, ხელს უწყობს ICC-ს, როგორც საერთაშორისო ინსტიტუტის ლეგიტიმაციას. პროცესში მრავალი ქვეყნის ჩართვა უზრუნველყოფს, რომ ვერც ერთი

ქვეყანა ან ქვეყნების ჯგუფი ვერ შეძლებს დომინირებას შერჩევაში. ეს პროცედურა ხელს უწყობს ICC-ის, როგორც საერთაშორისო ტრიბუნალის პოზიციის განმტკიცებას.

- **ანგარიშვალდებულება:**

ვინაიდან პროკურორი ანგარიშვალდებულია მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის წინაშე, პროცესი ქმნის გარე ზედამხედველობის დონეს. თუ პროკურორი ვერ გაამართლებს მოლოდინებს ან იქცევა არასათანადოდ, წევრ სახელმწიფოებს აქვთ მექანიზმები ჩარევისთვის, როგორცაა ASP-ის.

სასჯელის აღსრულება გულისხმობს სასჯელის აღსრულებისთვის სახელმწიფოების განსაზღვრას. ეროვნულ პროკურორებს შეუძლიათ ამ პროცესის მხარდაჭერა ლოჯისტიკური ღონისძიებების ხელშეწყობით და დაკავების პირობების დაცვის უზრუნველყოფით. მტკიცებულებებთან დაკავშირებულ საკითხებში, ეროვნული პროკურორები ეხმარებიან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მტკიცებულებითი წარმოებისათვის აუცილებელი მასალების შეგროვებაში, ავთენტიფიკაციასა და გადაცემაში, განსაკუთრებით სამართლებრივი ურთიერთდახმარების ჩარჩოების მეშვეობით.

7. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურატურაზე პოლიტიკური ზეწოლის შემცირება

შერჩევის პროცესის სტრუქტურა, მათ შორის მრავალი სახელმწიფოს ჩართულობა და ფოკუსირება კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე და არა პოლიტიკურ კუთვნილებაზე, ამცირებს იმის ალბათობას, რომ პროკურორი პოლიტიკური მოსაზრებების გავლენის ქვეშ მოექცეს. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო სისხლის სამართალში, სადაც მიუკერძოებლობა გადამწყვეტია სამართლიანობის განხორციელების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით პოლიტიკურად მგრძნობიარე საქმეებში.

საერთაშორისო სისხლის სამართლის პროკურორებს აქვთ უფრო ფართო უფლებამოსილება სახელმწიფოებში ვიდრე ეროვნულ დონეზე დანიშნულ პროკურორებს, თუმცა ნებისმიერი

პროკურორისთვის აუცილებელია ჰქონდეს პასუხისმგებლობის გრძნობა, მიუკერძოებლობა და შესაბამისი კვალიფიკაცია. პირველ რიგში, პროკურორმა ზუსტად უნდა გაანალიზოს მიზეზები, რათა გადაწყვიტოს ბრალდება. განსხვავებით ქვეყნებისგან, რომლებიც აღასრულებენ ნორმატიულ კანონს, პროკურორებს იმ ქვეყნებში, რომლებიც აღასრულებენ საერთო კანონს, შეიძლება ჰქონდეთ წვდომა მხოლოდ იმ მიზეზებზე, რომლებიც ბრალდებულის წინააღმდეგაა. შესაბამისად, არსებობს საფრთხე რომ გამამართლებელი მტკიცებულების მოპოვებისგან თავი შეიკავონ, რათა ჰქონდეთ პირადი ან პოლიტიკური ინტერესი.

კანონში, რომელიც პროკურორებს ანიჭებს უფლებამოსილებას, სამართლებრივი სამართლიანობა არ მიიღწევა მხოლოდ იურიდიული ცოდნის შეძენით. სინამდვილეში, ადამიანს უნდა ჰქონდეს სამართლიანობის აღქმის უნარი, გარდა იმისა, რომ ისწავლოს და მოახდინოს გარკვეული გრძნობების სათანადოდ გამოყენების ინსტიტუციონალიზაცია, როგორცაა თანაგრძნობა. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს დოკუმენტებისა და ამ სასამართლოში არსებული პროცედურის მიხედვით, პროკურორების ორმხრივი ბუნება ან კომპლექსური უფლებამოსილება ადვილად აღიქმება ამ საერთაშორისო სამართლებრივ ინსტიტუტში, რომელიც ხასიათდება როგორც საერთო სამართლის, ისე ნორმატიული სამართლის ადაპტირებული განსხვავებული ელემენტებით. პროკურატურის იურისდიქციის შესახებ უთანხმოება მომდინარეობს როგორც საერთო სამართლის, ისე ნორმატიული სამართლის წარმომადგენლების განსხვავებული შეხედულებებიდან. მათი უთანხმოება ძირითადად სამ ასპექტში შეიძლება განიხილებოდეს. ჯერ ერთი, პროკურორის მიერ დაწყებული საგამომიებო პროცესი ზოგადად ხანგრძლივია. მეორეც, პროკურორის იურისდიქციის შეზღუდვები ეწინააღმდეგება საერთო სამართლის პროცედურას, რომელშიც დიდი აქცენტი კეთდება პროკურორების დამოუკიდებლობაზე. ამავდროულად, გაძლიერებულია სასამართლო ზედამხედველობა კანონით გათვალისწინებული სამართალწარმოების სამართლიანი და ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად. და ბოლოს, უთანხმოება ასევე დაკავშირებულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების

სიკვადის ნაკლებობასთან (Firoozian Ebrahim, Rohani Haji Karan, Firoozjaei Hasan Hajitabar, 2023).

პროკურატურა შეიძლება იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენლობაში და დამოუკიდებელი იყოს იუსტიციის მინისტრისგან. ან ქვეყნის მთავარი პროკურორი - გენერალური პროკურორი - შეიძლება იყოს იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირი. ბრაზილიის ზოგიერთ შტატში საჯარო პროკურორი დამოუკიდებელი ერთეულია. ნიდერლანდებში, პროკურატურა და სასამართლოები სასამართლო სისტემის ნაწილია. კონკურენტულ სისტემებს ასევე აქვთ განსხვავებული ტიტული მათი პროკურორისთვის. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოს აქვს Crown პროკურატურის სამსახური და ადვოკატებს უწოდებენ Crown Advocates და Crown Prosecutors.

როდესაც პოლიტიკური ზეწოლის შემცირებაზე ვსაუბრობთ აუცილებელია გავანალიზოთ ზემოთ ხსენებული სანქციების მაგალითი. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორისადმი სანქციების დაწესება რა თქმა უნდა გავლენას ახდენს ინსტიტუტზე მის აღიარებასა და რეპუტაციაზე. თუკი გვსურს, რომ პროკურატურა იყოს დამოუკიდებელი მიუკერძოებელი და ობიექტური, არც ერთ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს უფლება დაასანქციროს ICC-ის პროკურორი და მოახდინოს მასზე ზეწოლა გამოძიების წარმოებისთვის. ამერიკის მიერ განხორციელებული ქმედება ნათელს ფენს ნათლად გვანახებს რამდენად პოლიტიზირებულია სახელმწიფო და ამასთანავე იმას, რომ წამყვანი სახელმწიფოები საკუთარი ინტერესების გასატარებლად მზად არიან უარი თქვან სამართლიანობაზე.

8. დასკვნა

ICC-ში პროკურორის არჩევის პროცედურა ხაზს უსვამს საერთაშორისო თანამშრომლობას, დამოუკიდებლობას, რაც უზრუნველყოფს პროკურორის მიუკერძოებლობას და თავისუფლებას პოლიტიკური ჩარევისგან. ამის საპირისპიროდ, ეროვნული სისტემები ხშირად აერთიანებს სამართლებრივ კვალიფიკაციას პოლიტიკურ მოსაზრებებთან, რაც

ქმნის განსხვავებულ ბალანსს ანგარიშვალდებულებას, დამოუკიდებლობასა და პოლიტიკურ გავლენას შორის.

ICC-ს შეუძლია სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ან მათი მოქალაქეების მიერ ჩადენილ დანაშაულებებზე, რაც ხელს უშლის არაერთი სისასტიკის აღმოფხვრას არაწევრ ქვეყნებში, როგორიცაა სირია და მიანმარი. თუ ალტერნატიული მექანიზმები არ იქნება გამოყენებული, რასაც მოჰყვება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დარღვევა, ომის დანაშაულების დაუსჯელობა, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება მსოფლიოზე.

ზოგიერთი დიდი სახელმწიფო, როგორიცაა შეერთებული შტატები, აქტიურად ეწინააღმდეგება ICC-ს და სანქციებსაც კი აწესებს მის პერსონალზე. ეს ძირს უთხრის სასამართლოს შესაძლებლობას იმოქმედოს უნივერსალურად და ასუსტებს საერთაშორისო სისხლის სამართლის პროკურატურის ავტორიტეტს.

ICC მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეა (ASP), რომელიც შედგება წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისგან, ირჩევს პროკურორს. ეს საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს გარკვეულწილად გაატარონ თავისი ინტერესები და მოახდინონ გავლენა საკუთარი კანდიდატის გაყვანით. სახელმწიფოები ხშირად უპირატესობას ანიჭებენ კანდიდატებს, რომლებიც შეესაბამება მათ პოლიტიკურ ინტერესებს და არა სასამართლოს საჭიროებებს. არაფორმალურმა ლობირებამ და ქვეყნებს შორის გარიგებების დადება შეიძლება შეარყიოს გამჭვირვალობა და დამსახურებაზე დაფუძნებული შერჩევა.

საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება დინამიური და მოლაპარაკების დიდი პროცესია, რომელშიც მონაწილეობენ როგორც საერთაშორისო სისხლის სამართლის პროკურორი, ასევე ეროვნული პროკურატურის ორგანოები. მათი ურთიერთქმედება განისაზღვრება სამართლებრივი მანდატებით, ინსტიტუციური შესაძლებლობებით, პოლიტიკური შეზღუდვებითა და ნორმატიული ვალდებულებებით. ამ კონტექსტში პროკურორების როლის გაგება მოითხოვს მრავალგანზომილებიან

მიდგომას, რომელიც აერთიანებს სამართლებრივ ანალიზს, ინსტიტუციურ თეორიას და პოლიტიკურ რეალიზმს.

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორი და ეროვნული პროკურორები საერთაშორისო სისხლის სამართლის აღსრულების დეცენტრალიზებული სისტემის ფარგლებში ურთიერთშემავსებელი აქტორები არიან. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო იწყებს სამართალწარმოებას და ადგენს გლობალურ ნორმებს, ეროვნული პროკურორები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში მართლმსაჯულების კარიბჭის მცველებად და აღმასრულებლებად მოქმედებენ. ამრიგად, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს გადაწყვეტილებების ეფექტურობა ეფუძნება ფუნქციონალურ და თანამშრომლობით პროკურატურულ ქსელს, რომელიც სცილდება სამართლებრივ სისტემებსა და პოლიტიკური დაყოფის საზღვრებს.

რეკომენდაციები და პრობლემის გადაჭრის გზები:

1. შეიქმნას დამოუკიდებელი შერჩევის კომიტეტი, რომელიც შედგენილი იქნება იურიდიული ექსპერტებისგან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან და ყოფილი საერთაშორისო მოსამართლეებისგან, რათა გააკონტროლონ წარდგენა და უზრუნველყონ დამსახურებაზე დაფუძნებული რეკომენდაციები.
2. ნორმების შემოღება რომელიც აკრძალავს პროკურატურაში ლობირების საკითხს, ლობირების საკითხის შემცირება კი ავტომატურად გამოიწვევს სახელმწიფოთა უხეში ჩარევის შემცირებას პროკურატურის საქმიანობაში.
3. დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ზედამხედველობის ორგანოს შექმნა, რომელიც შედგენილი იქნება ნეიტრალური მხარეებისგან და უზრუნველყოფს პროკურორად დასანიშნი კანდიდატის შემოწმებას ცოდნით, გამოცდილებით, პროფესიული უნარ-ჩვევებით. ეს ასევე ხელს შეუწყობს პროკურორის არჩევის პროცესში დაინტერესებული სახელმწიფოების გავლენის შემცირებას.

4. დამოუკიდებელი ზედამხედველობის ორგანოს მიერ პროკურორის საქმიანობის რეგულარული განხილვის, შემოწმების დაწესება.
5. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ სანქციების ან წახალისების შემოღება შესაძლებელია იყოს პროკურატურის მიუკერძოებლად მოქმედების ერთ-ერთი გარანტი, თუმცა ალბათ არა ისეთ დიდ სახელმწიფოებზე, რომელთათვისაც ასეთი სანქციები არც ეკონომიკურად და არც პოლიტიკურად არ ცვლის ამინდს.
6. მნიშვნელოვანია გაიზარდოს წევრი ქვეყნების შენატანები და გაფართოვდეს შემოსავლის წყარო დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, რათა მეტად იქნეს დაცული პროკურორის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.

ბიბლიოგრაფია

1. მამნიაშვილი, მ. (2024). საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი: ზოგადი ნაწილის თავისებურება და განვითარების ტენდენციები. თბილისი: იურისტების სამყარო.
2. უგრეხელიძე, მ. (2018). საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპების შესახებ. მაცნე, 90.
3. საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ. (2018, December 13). Retrieved from matsne: <https://matsne.gov.ge/document/view/4382740?publication=14>
4. Ambos, K. (2022). *Rome Statute of the International criminal court*. München: Services GmbH, Krefeld.
5. Angela, M. (2021). The Procedure for Appointing the International Criminal Court Prosecutor: High Moral Character and the Need for Comprehensive. *International Criminal Justice*, 2.
6. Barnett, M. (2003). *Eyewitness to a Genocide: The United Nations and Rwanda*. New York: Cornell University Press.
7. Bassiouni Cerif. M. (1987). *International criminal law enforcement*. New York: transnational publishers.
8. Christian M.De Vos. (2020). *The ICC and Complementarity: Evolutions, Interpretations and Implementation*. Cambridge: Cambridge University.
9. David, S. (2008). *A Review of the Experiences of the Pre-Trial and Appeals Chambers of the International Criminal Court Regarding the Disclosure of Evidence*. Cambridge: Cambridge University Press.
10. Dechepy-Tellier, J. (2024). *The public prosecutor's office in the French legal system*,. Rouen Normandy University.
11. Firoozian Ebrahim, Rohani Haji Karan, Firoozjaei Hasan Hajitabar. (2023). Comparative Analysis of Prosecutor's Authorities in International Criminal Court and Foundations of Judicial Idealism. *International Studies Journal*, 287-309.

12. Göran Sluiter, Håkan Friman, Suzannah Linton, Sergey Vasiliev, and Salvatore Zappalà. (2013). *International Criminal Procedure*. Oxford University.
13. Hessick, C. B. (2023). *Understanding Uncontested Prosecutor Elections*. American Criminal Law Review.
14. *Human Rights Watch*. (2020, December 14). Retrieved from Human Rights Watch: <https://www.hrw.org/news/2020/12/14/us-sanctions-international-criminal-court>
15. Jacqueline Hodgson, Laurène Soubise. (2016). Prosecution in France.
16. Justice, T. (. (2023). *Patryk I. Labuda*. Oxford University Press.
17. Kaye, D. (2011). *Who's Afraid of the International Criminal Court? Finding the Prosecutor Who Can Set It Straight*. Council on Foreign Relations.
18. Klamberg, L. B. (2016). The Gatekeeper of the ICC - Prosecutorial Strategies for Selecting Situations and Cases at the International Criminal Court. *Georgetown Journal of International Law*, 639-733.
19. Levenson, L. L. (1999). Working Outside the Rules: The Undefined Responsibilities of Federal Prosecutors. *Fordham Urban Law Journal*, 553-570.
20. Megumi, O. (2022). *The New Recipe for a General Principle of Law: Premise Theory to "Fill in the Gaps*. Cambridge: Cambridge University.
21. Morton, J. S. (2014). *Gow, James; Kerr, Rachel and Paji, Zoran (eds). Prosecuting War Crimes: Lessons and Legacies of the International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia*. Slavonic and East European: Modern Humanities Research Association.
22. Mudukuti, A. (2021). The Procedure for Appointing the International Criminal Court Prosecutor: High Moral Character and the Need for Comprehensive Vetting. *International Criminal Justice*, 747-757.
23. *Office of the Prosecutor*. (n.d.). Retrieved from International Criminal Court: <https://www.icc-cpi.int/about/otp>
24. Ondřej Svaček, M. F. (2025). *Prosecution of War Crimes before the ICC*. Palgrave Macmillan

25. Pérez-León-Acevedo, J.-P. (2019). Assessing Victim Participation during Sentencing at the International Criminal Court. *Journal of International Criminal Justice*, 431–451.
26. *Prosecution of Offences Act*. (1985, May 23). Retrieved from Your World of Legal Intelligence: <https://vlex.co.uk/vid/prosecution-of-offences-act-808298617>
27. Riedel, J. (2020). Judicial Review of Judicial Appointments in Germany. *International Journal for Court Administration*, 2-19.
28. Schabas A William. (2016). *The Office of the Prosecutor/Le bureau du procureur*. Oxford Commentaries on International Law.
29. Schabas, W. (2010). *The International Criminal Court: A Commentary on the Rome Statute*. New York: Oxford University Press.
30. Schabas, W. A. (2008). *O Brave New World': The Role of the Prosecutor of the International Criminal Court*. Berliner Wissenschafts-Verlag.
31. Schabas, W. A. (2020). *Structure and Administration of the Court*. Cambridge: Cambridge University.
32. Schabas, W. A. (2022). *Structure and Administration of the Court*. Cambridge: Cambridge University.
33. Skubic, Z. (2011). The Constitutional Relationship Between The Ministry Of Justice And The. *International Journal For Court Administration*, 2-19.